

# შიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Internal CSR) Covid-19-ის ფონზე საქართველოში

ანასტასია ჯაფარიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად“.*

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, თორნიკე გურულს, კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის და ასევე კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს, თავიანთი აზრის დაფიქსირებისთვის.

## აბსტრაქტი

შიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საკმაოდ ახალ პრაქტიკას წარმოადგენს და ჯერ კიდევ მიმდინარეობს მისი სტანდარტიზაცია და განვითარება. ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისა და ინტეგრაციის დონეს კორპორაციულ კულტურაში. კომპანიები სულ უფრო მეტად ცდილობენ Internal CSR-ის პრაქტიკის დანერგვას მისი მნიშვნელობიდან და სარგებლიანობიდან გამომდინარე. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას Internal CSR სხვადასხვა კუთხითა და ფაქტორების ზეგავლენით.

თანამედროვე მსფლიო Covid-19-მა მნიშვნელოვანი ფინანსური გამოწვევების წინაშე დააყენა, რაც დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შედეგია. აღნიშნული სირთულეების დასაძლევად კომპანიებს, ერთი მხრივ, უწევთ ადაპტირდნენ ახალ რეალობასთან და გადარჩნენ, ხოლო, მეორე მხრივ, არ დააზარალონ დასაქმებულები, სათანადოდ უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება და შრომითი უფლებები. საყურადღებოა აღნიშნული საკითხი საართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო განვითარებად ქვეყანების კატეგორიას განეკუთვნება და შრომითი უფლებების დაცვის კუთხით არასახარბიელო მდგომარეობაა.

პანდემიის ფონზე საქართველოში შიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესაფასებლად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა და გამოიკითხა საქართველოს შრომით ბაზარზე დასაქმებულული კატეგორია. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს საშუალება მიეცათ შეეფასებინათ დამსაქმებელი კომპანიის შიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და აღეწერათ მისი დამოკიდებულება და მიდგომა თანამშრომლებისადმი ფინანსურად მძიმე ვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: შიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, პანდემია, დამსაქმებელი, შრომითი უფლებები.

## Abstract

Internal corporate social responsibility is a fairly new practice and is still being standardized and developed. The overall economic situation in the country significantly determines the level of development and integration of internal corporate social responsibility in the corporate culture. Companies are increasingly trying to implement Internal CSR practices due to its importance and usefulness. With this in mind, it is important to examine the Internal CSR from different angles and under the influence of factors.

Due to Covid-19 and as a result of restrictions and regulations imposed, the modern world has faced significant financial challenges. To overcome these difficulties, companies, on one hand, have to adapt to the new reality and think about survival of the company itself, and, on the other hand, they have to properly ensure safety of employees and their labor rights. This issue is noteworthy in Georgia, given that Georgia belongs to the category of developing countries and is in an unfavorable situation in terms of protection of labor rights.

In order to assess internal corporate social responsibility in the time of pandemic in Georgia, a quantitative survey was conducted. Employees of the Georgian labor market were interviewed. The survey allowed respondents to assess the employer company's internal corporate social responsibility and describe its attitude and approach towards employees in a financially difficult situation.

Keywords: Corporate Social Responsibility, Pandemic, Employer, Labor Rights.